

## პროექტის შესახებ

### თუ სამუშაო კონტრაქტით განსაზღვრული ვადა ამოიწურა

სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში, გეძლევათ 3 თვე რათა მონახოთ ახალი სამუშაო ადგილი. თუ ეს პირობა არ შესრულდა, შევდეთის მიგრაციის საბჭოს შეუძლია გააუქმოს ცხოვრების ნებართვა.

### თუ გსურთ შეცვალოთ დამქირავებელი ან სამუშაო ადგილი

თუ პირველი ორი წლის განმავლობაში გსურთ შეცვალოთ დამქირავებელი ან დასაქმების სახეობა, ხელახლა უნდა განაცხადოთ მუშაობის ნებართვის მიღების თაობაზე არსებული მუშაობის ნებართვის ვადის ამოწურვამდე.

იგივე პროცედურა ვრცელდება ცხოვრების ნებართვაზეც.

### რა უნდა იცოდეთ თქვენი ძირითადი უფლებების შესახებ?

- შვედეთში არ არსებობს იურიდიულად დანესებული ხელფასის მინიმუმი. ხელფასი ჩვეულებრივ, განსაზღვრება დამსაქმებელსა და პროფესიული კავშირის ორგანიზაციებს შორის გაფორმებული კოლექტიური შეთანხმების საფუძველზე. სპეციალობების მიხედვით განსაზღვრული საშუალო ხელფასების ოდენობაზე არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს გაეცნობით [www.scb.se](http://www.scb.se) ვებგვერდის საშუალებით.
- მოთხოვნისამებრ, დამსაქმებელი ვალდებულია მოგანოდოთ (სამუშაო კონტრაქტის ხელმოწერიდან 30 დღის განმავლობაში) წერილობითი ინფორმაცია თქვენი სამუშაო პირობების შესახებ.
- თქვენ გეკუთვნით მინიმუმ 5 კვირიანი წლიური შვებულება (ხელფასიანი).
- შვედეთის სოციალური დაზღვევა უზრუნველყოფს ეკონომიკურ დახმარებას ავადმყოფობის, შრომის უნარის დაკარგვისა და ხანდაზმულობის შემთხვევაში და, აგრეთვე უზრუნველყოფს სოციალური დახმარებით შვილებიან ოჯახებს. სოციალური დახმარების უზრუნველყოფის ადმინისტრირებას ახორციელებს შვედეთის სოციალური დაზღვევის სააგენტო (Försäkringskassan) და შვედეთის საპენსიო სააგენტო (Pensionsmyndigheten). სააგენტოები ფინანსდება როგორც დამსაქმებლების, ასევე თავად დასაქმებულების ფულადი სახის შენატანებით და საშემოსავლო გადასახადებით (მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებგვერდს: [www.regeringen.se/content/1/c6/13/75/63/d1783aed.pdf](http://www.regeringen.se/content/1/c6/13/75/63/d1783aed.pdf)

მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის (TIG) "ქართველი დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციისა და საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული რეადმისიის ხელშეკრულების განხორციელების მხარდასაჭერად" ხორციელდება საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2009 წლის ნოემბერში ხელმოწერილი ხელშეკრულების: პარტნიორობა მობილურობისთვის" ფარგლებში. პროექტს ახორციელებს ევროკავშირის 9 წევრი ქვეყნისგან შემდგარი კონსორციუმი ჩეხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით.

მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ

[www.informedmigration.ge](http://www.informedmigration.ge)

ან დაგვიკავშირდით:

ტელ: (+995 32) 2600 955, მობ: (+995 599) 533001

[tig@tig-eu.ge](mailto:tig@tig-eu.ge)

### საჭირო კონტაქტები:

#### საქართველოს საელჩო შვედეთში

Humlegårdsgatan 19, 114 46 სტოკჰოლმი

ტელ.: +46 (0) 8 678 02 60

ვებ. გვერდი: [www.sweden.mfa.gov.ge](http://www.sweden.mfa.gov.ge)

#### შვედეთის იუსტიციის სამინისტრო

ტელ.: +46 8 405 3424

ვებ. გვერდი: [www.regeringen.se/sb/d/584](http://www.regeringen.se/sb/d/584)

#### შვედეთის მიგრაციის საბჭო (work/residence permit)

ტელ.: +46 10-485 70 65

ვებ. გვერდი: [www.migrationsverket.se/info/Arbeta\\_en.html](http://www.migrationsverket.se/info/Arbeta_en.html)

#### დასაქმების სამინისტრო (შრომის უფლებები)

ტელ.: +46 8 405 1126

ვებ. გვერდი: [www.sweden.gov.se/sb/d/8281](http://www.sweden.gov.se/sb/d/8281)

#### ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო (სოციალური უზრუნველყოფა)

ტელ.: +46 8 405 2829

ვებ. გვერდი: [www.sweden.gov.se/sb/d/2061](http://www.sweden.gov.se/sb/d/2061)

#### შვედეთის საჯარო დასაქმების სამსახური


ტელ.: +46 771 416 416

ვებ. გვერდი: [www.arbetsformedlingen.se](http://www.arbetsformedlingen.se)

#### შვედეთის პროფესიული კავშირების კონფედერაცია

ვებ. გვერდი: [www.lo.se](http://www.lo.se)

## ევროკავშირისა და საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება – პარტნიორობა მობილურობისათვის



## შრომითი მიგრაცია შვედეთში



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



Targeted Initiative Georgia

## დანიტარესაბუღლი ხართ შვედეთში მუშაობით?

ეს ბუკლეტი შეიცავს ინფორმაციას შვედეთში მუშაობის ნებართვის მისაღებად საჭირო განაცხადის შევსებისა და წარდგენის შესახებ. ბუკლეტში მოცემულია იმ უწყებათა საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებიც გაგიწევენ საჭირო დახმარებას.

### რა არის ამისათვის საჭირო?

1. შვედეთში მყოფი დამსაქმებლის წერილი სამუშაოს შემოთავაზების თაობაზე.
2. განაცხადი მუშაობის/ცხოვრების ნებართვის მიღების თაობაზე (უნიფიცირებული პროცედურა, რომელიც გულისხმობს ერთიანი განაცხადის შეტანას როგორც მუშაობის, ასევე ცხოვრების ნებართვის მიღების თაობაზე და, შესაბამისად, ერთიანი მუშაობის/ცხოვრების ნებართვის მიღებას).

### სად შეგიძლიათ ნახოთ ინფორმაცია ვაკანტური სამუშაო ადგილების შესახებ?

შვედეთის ინსტიტუტის ვებგვერდი სამუშაო შვედეთში [www.sweden.se/work](http://www.sweden.se/work)  
შვედეთში დეფიციტური სპეციალობების სია: [www.sweden.se/eng/Home/Work/Get-a-job/Labor-shortage-list](http://www.sweden.se/eng/Home/Work/Get-a-job/Labor-shortage-list)  
ევროკავშირის მობილურობის პორტალი სამუშაოს მაძიებელთათვის (EURES) [www.bit.ly/Sweden-Eures](http://www.bit.ly/Sweden-Eures)  
ვაკანსიები შვედეთის ახალი ამბების ვებგვერდზე ინგლისურად [www.thelocal.se](http://www.thelocal.se)  
შვედეთის სანარმოთა კონფედერაციის ვებგვერდი [www.svensktnaringsliv.se/english](http://www.svensktnaringsliv.se/english)

### ვის უნდა მიმართოთ მუშაობის/ცხოვრების ნებართვის მიღების თაობაზე?

1. შვედეთის მიგრაციის საბჭოს: [www.migrationsverket.se](http://www.migrationsverket.se) ან [www.migrationboard.com](http://www.migrationboard.com) (სადაც შეგიძლიათ გავცნოთ დეტალურ ინფორმაციას სააპლიკაციო ფორმის შევსებისა და, ასევე, განაცხადის წარდგენის თაობაზე);
2. საზღვარგარეთ მყოფ შვედეთის მისიებს შვედეთში მუშაობის უფლების მიღებაზე - შვედეთის საზღვრებს გარეთ მყოფი განმცხადებელთათვის სააპლიკაციო ფორმის შევსების გზით (no. 149011).
3. გარკვეულ შემთხვევებში, განაცხადების შეტანა შესაძლებელია შვედეთის ტერიტორიაზე ყოფნისას. მაგალითად, თქვენ უკვე იმყოფებით შვედეთში და გაქვთ ცხოვრების უფლება რადგან სწავლობთ უნივერსიტეტში

ან კოლეჯში; იმყოფებით შვედეთში დამსაქმებელთან შეხვედრის მიზნით, ან წარსულში იყავით თავშესაფრის მაძიებელი.

### რა დოკუმენტებია საჭირო?

1. მოქმედი პასპორტი (იმ გვერდების ასლები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას თქვენი პიროვნების, მოქალაქეობისა და პასპორტის მოქმედების ვადის შესახებ).
2. დამქირავებლის წერილი სამუშაოს შემოთავაზების თაობაზე (სპეციალური ფორმა # 232011, რომლის მოძიება დამქირავებელს შეუძლია შვედეთის მიგრაციის საბჭოს ვებგვერდზე).
3. განაცხადის შეტანისას გადახდილი თანხის ჩევი.

### განაცხადის თანხა

განაცხადის თანხა შეადგენს 2,000 შვედურ კრონს (დაახლოებით 220 ევრო). თუ თქვენი ქმარი/ცოლი - დე ფაქტო მეუღლე შეიტანს განაცხადს იმავე დროს, თანხა შეადგენს 1 000 შვედურ კრონს. 18 წლამდე ბავშვებისათვის, თანხა შეადგენს 500 შვედურ კრონს ერთ ბავშვზე. თანხის გადახდა შეგიძლიათ საკრედიტო ბარათის მეშვეობით (VISA ან MasterCard) ან, უშუალოდ, შვედეთის ბანკების Nordea ან SEB ანგარიშებიდან ამ ბანკების მიერ ინტერნეტ მომსახურების მეშვეობით. თქვენ ვერ შეძლებთ განაცხადის წარდგენას გათვალისწინებული თანხის გადახდის გარეშე.

### პროცედურის ხანგრძლივობა

წარდგენილ განაცხადზე გადაწყვეტილების მიღების ოფიციალური ვადა განსაზღვრული არ არის. საშუალოდ, პროცედურა გრძელდება 2-3 თვე (ვებგვერდის მეშვეობით შევსებული განაცხადებისთვის), მეტი დრო შესაძლოა დასჭირდეს საზღვარგარეთ მყოფი შვედეთის მისიებში შეტანილი განაცხადების განხილვას.

### მუშაობის/ცხოვრების ნებართვის ძალაში ყოფნის ვადა

დროებითი მუშაობის და ცხოვრების ნებარვა გაცივმა სამუშაო კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით. მაქსიმალური ვადაა 2 წელი (ვადის გაგრძელების შესაძლებლობით). 4 წლის შემდეგ, შესაძლებელია მუდმივი ცხოვრების ნებართვის მიღება. ამ შემთხვევაში, მუშაობის ნებართვა აღარ არის საჭირო. პირველი ორი წლის განმავლობაში, მუშაობის შესაძლებლობები შემზღვეულია განაცხადში მითითებული სამუშაო ადგილით და კონკრეტული სპეციალობით. თუ ორი წლის გასვლის შემდეგ მუშაობის ნებართვის ვადა გაგრძელდება, შემზღვევა შეეხება მხოლოდ კონკრეტულ სპეციალობას.

### რა პროცედურები უნდა გაიაროს დამსაქმებელმა თქვენთვის სამუშაოს შემოთავაზებაზე წერილის გაცემამდე

1. დამსაქმებელმა უნდა შემოგთავაზოთ მუშაობის ისეთი პირობები, რომლებიც შეესაბამება შვედეთის კოლექტიური ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და განკუთვნილია კონკრეტული სექტორისთვის ან პროფესიისთვის (სახელფასო, სამედიცინო დაზღვევის და სხვა პირობები). ამასთანავე, ხელფასის თვიური თანხა არ უნდა იყოს 13000 შვედურ კრონზე ნაკლები (დაახლოებით 1400 ევრო), რაც ამჟამად წარმოადგენს ერთ ადამიანზე გათვალისწინებულ საცხოვრებელ მინიმუმს.
2. დამსაქმებელმა უნდა გამოაცხადოს ვაკანსია შვედეთისა და ევროკავშირის ქვეყნების მასშტაბით (EURES სისტემაში). შვედეთისა და ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეთათვის უპირატესობის მიცემის მიზნით, განაცხადი ვაკანსიის თაობაზე უნდა იქნეს გამოქვეყნებული არა ნაკლებ 10 დღის განმავლობაში.
3. შესაბამისი პროფესიული კავშირის ორგანიზაციას უნდა ქონდეს საშუალება გამოხატოს თავისი აზრი თქვენი დამსაქმებლის მიერ შემოთავაზებული სამუშაოს პირობებისა და ვადების შესახებ.

### ნებართვა ოჯახის წევრებისათვის

თქვენმა ოჯახის წევრებმა შესაძლოა მიიღონ ცხოვრების ნებართვა, რომლის ვადები ემთხვევა თქვენზე გაცემული ნებართვის ვადებს. მაგრამ, თუ მათ სურთ სამუშაოს დაწყება, მათ, ასევე, უნდა გაიარონ ყველა ზემოთ აღნიშნული პროცედურა მუშაობის და ცხოვრების ნებართვის მისაღებად. ოჯახის წევრებად იგულისხმება ქმარი/ცოლი ან მეუღლე, რომელთანაც ქორწინება არ არის რეგისტრირებული, თქვენი, თქვენი ქმრის/ცოლის შვილები ან თქვენთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის შვილები, რომელთა ასაკი არ აღემატება 21 წელს.

### რა უნდა მოიმოქმედოთ განაცხადზე უარის მიღების შემთხვევაში?

შვედეთის მიგრაციის საბჭოს შეუძლია უარის თქმა ნებართვის გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო ადგილი არ იყო გამოცხადებული შვედეთსა და ევროკავშირის ქვეყნებში, ან შემოთავაზება და საქმიანობა არ შეესაბამება განსაზღვრულ პირობებს. როგორც წესი, შვედეთის მიგრაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა. უარყოფითი პასუხის გასაჩივრება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, ამავდროულად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დეპორტაციის შესახებ. ეს ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც შვედეთში არალეგალურად მყოფმა პირმა გააკეთა განაცხადი მუშაობის/ცხოვრების ნებართვის მიღების თაობაზე.